WAY OF MAKING FRIENDS WITH DEATH IN THE LAST NOTES BY GERONTI KIKODZE

სიკვდილთან დამეგობრების გზა გერონტი ქიქოძის უკანასკნელ ჩანაწერებში

Khatuna Chanishvili
Doctor of Social Sciences,
Associate Professor of Caucasus University,
Tbilisi, Paata Saakadze Street 1, 0102, Georgia
+995 591 010 777, kchanishvili@cu.edu.ge
https://orcid.org/0009-0005-4824-5554

Abstract. Geronti Kikodze. Georgian publicist and public figure of 20th century passed away on 1 August 1960. His last notes, dated with the year of his death attracted our attention. In particular: "Arabesques", "Dialogue with Self", "Fear of Death" and "Dream Silhouettes". The mentioned notes are perceived as the philosophical reflections of preparation for death, conciliation with death. The author studied at the faculty of philosophy of Leipzig University and capturing of such ideas as eternity of life and death, laws of the universe, Kantian moral theories and love, in the end of his life, remind us that being a philosopher requires not only involvement into the active sociopolitical issues but also, philosophically charged spirit permanently deals with such eternal, unchangeable issues that were expressed in his last notes.

In the mentioned texts, the author as though finally answers the questions facing by the mankind that are unsolvable at the first glance. For him, creativity is unassailable, eternal, timeless ability that is eternally maintained by the individual, death transforms from the horrible into the warmest, closest phenomenon that is accompanied with the sense of love. For the author, in the last period of his life, the spiritual knowledge gained from the experience that is mental as well, is apparent and confirmed. This is the knowledge that, in antique and Christian thinking traditions was formed as the firmest, unshakeable but still, permanently reviewable and revivable, here and now, thinking structure, logical constructions.

The issues considered by Geronti Kikodze in the last period of his life, have something common, this is remembrance. To make certain conclusions, he needs to remember, remember the events, feelings and a woman. For him, each of them is firmness of vital significance and this sense of firmness covers the readers as well, because remembrance is as vital as natural and turns individual to the new milestones. And finally, it is transformed into the new modus of firm thinking tradition. And in this most precise point, it becomes possible, for the contemporary tired individual of 21st century, to capture again the main, real, undoubtable issues and on this way, Geronti Kikodze's notes become the most dedicated guide.

Keywords: Geronti Kikodze, way, death, culture, tradition, Georgia.

ხათუნა ჭანიშვილი
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი,
კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
თბილისი, პაატა სააკაძის ქუჩა 1, 0102, საქართველო
+995 591 010 777, kchanishvili@cu.edu.ge
https://orcid.org/0009-0005-4824-5554

აბსტრაქტი. მე-20 საუკუნის ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე გერონტი ქიქოძე 1960 წლის 1 აგვისტოს გარდაიცვალა. ჩვენი ყურადღება მიიპყრო მისმა უკანასკნემა ჩანაწერებმა, რომლებიც გარდაცვალების წლით თარიღდება. კერძოდ: ,,არაბესკები", ,,დიალოგი თავის თავთან", ,,სიკვდილის შიში" და ,,სიზმრის სილუეტები". აღნიშნული ჩანაწრები აღიქმება, როგორც სიკვდილთან მზადების, სიკვდილთან შერიგების ფილოსოფიური განაზრებანი. ავტორი ლაიფციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ ფაკულტეტზე სწავლობდა და სიცოცხლის მიწურულს მის მიერ ისეთი იდეების მოხელთება, როგორიცაა სიკვდილ-სიცოცხლის, მარადისობის, სამყაროს კანონზომიერების, კანტიანური მორალური თეორიისა და სიყვარულისა, კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ ფილოსოფოსობა არა მხოლოდ აქტიურ სოციალურ-პოლიტიკურ თემებში ჩართულობას მოითხოვს, არამედ ფილოსოფიურად დამუხტული სული, მუდამ ურთიერთობს ისეთ მარადიულ, უცვალებელ თემებთან, მის ბოლო ჩანაწერებში რომ გაცხადებულა.

აღნიშნულ ტექსტებში ავტორი თითქოს საბოლოოდ პასუხობს კაცობრიობისათვის ერთი შეხედვით გადაუჭრელ საკითხებს. მისთვის შემოქმედებითობა წარუვალი, მარადიული უბერებელი უნარია, რაც მარადისობაშიც გადაჰყვება ადამიანს, სიკვდილი შემზარავი სახიდან უთბილეს, უახლობლეს მოვლენად გარდაიქმნება, რომლისთვისაც სიყვარულის განცდაც თანმდევია. ავტორისთვის სიცოცხლის ბოლო მონაკვეთში გაცხადებულია, დადასტურებულია ის სულისმიერი გამოცდილებითი ცოდნა, რომელიც იმავდროულად გონისმიერიცაა. ეს ის ცოდნაა, ანტიკურ და ქრისტიანულ სააზროვნო ტრადიციაში უმყარეს, უცვალებელ, თუმცა მარად გადასახედ, აქ და ახლა გასაცოცხლებელ სააზროვნო სტრუქტურად, ლოგიკურ კონსტრუქციებად რომ ჩამოყალიბდა.

თემებს, რომელთაც გერონტი ქიქოძე სიცოცხლის უკანასკნელ ჟამს მიაკითხავს, ერთი რამ აერთიანებს,-გახსენება. იმისთვის რომ გარკვეული დასკვნები გამოიტანოს, მას გახსენება ესაჭიროება, გახსენება მოვლენების, შეგრძნებების და ქალის. თითოეული მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სიმყარედ ჩნდება და ამ სიმყარის შეგრძნება მკითხველსაც გადაედება, რადგან გახსენება იმდენადაა სიცოცხლისმნიშვნელი, რამდენადაც ბუნებრიობს და ახალი ნიშნულებისკენ მიაქცევს ადამიანს. საბოლოოდ კი ურყევი სააზროვნო ტრადიციის თანადროულ მოდუსად გარდაქმნის. ჩვენი აზრით, სწორედ ამ უზუსტეს წერტილშია შესაძლებელი 21-ე საუკუნის თანამედროვე, თან დაღლილი ადამიანისთვის მთავარი, ნამდვილი, უტყუარი თემების კვლავ მოხელთება. ამ გზაზე გერონტი ქიქოძის ჩანაწერები უერთგულეს მეგზურად ჩნდება.

საკვანძო სიტყვები: გერონტი ქიქოძე, გზა, სიკვდილი, დრო, ანტიკური, ქრისტიანული კულტურა,

შესავალი. გერონტი ქიქოძე 1960 წლის პირველ აგვისტოს გარდაიცვალა. ამავე წელს მისი უკანასკნელი ჩანაწერები ასე დაუსათაურებია: ,,სამოთხის კარიბჭესთან", ,,არაბესკები" (რომელსაც შემდეგი ქვეთემები აერთიანებს: ხელები, მზე და სიკვდილი) ,,დიალოგი საკუთარ თავთან" ,,სიკვდილის შიში", ,,მარტოობის წლები" და სიზმრის სილუეტები" ამ ტექტებს ერთი მკაფიო ლოგიკური ხაზი გაჰყვება: ფიქრი მუნ ყოფნაზე, ახალ სამკვიდროზე, ადამიანად ყოფნის გაგრძელებაზე, ადგილზე, რომელზე რაციონალური ფიქრიც იმ კულტურის მთავარი თვისებაა, რომელსაც თვად ავტორი წარმოადგენს და რომელიც ძირითადი საკითხების ამომთქმელად და ნაწილად დარჩა ქართულ კულტურას, იგი თავად ანტიკური სამყაროს სოკრატულ-პლატონურ განაზრებანს აცოცხლებს აქ და ახლა, როგორც მე-20 საუკუნის საქართველოს კულტურული, პოლიტიკური სცენის ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე. გერონტი ქიქოძის პიროვნული თუ პროფესიული გზა სწორედ იმ ცოცხალი პროცესის უცხადესი საბუთია, თუ როგორ გზადაგზა იძერწება და ყალიბდება, რიგ შემთხვევაში ბუნებრივი, ადამიანური შეცდომების გადააზრებისა და თვითშემეცნების გზაზე კაცი, ადამიანი. როგორ იბადება ბოლშევიკური ფრაქციის წევრისგან, აქტივისტისგან, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ხელმომწერი და გაზეთ ,,საქართველოს" პუბლიცისტი, რომელმაც შეძლო იმ ბალავრის კიდევ უფრო განმტკიცება, ქართულ სააზროვნო ტრადიციაში ეროვნული, თვითმყოფადი, ცოცხალი იდეის კვლავმწარმოებლად რომ არსობს. ჩვენი აზრით, იგი ყოველ დროსა და ეპოქაში ახლად დაფერილ ტილოებს მოითხოვს ახალი დროის მთავარ საექსპოზიციო დარბაზში წარმოსადგენად და ვიდრე ეს დარბაზი თავისი დამთვარიელებრით არ დაიტვირთება, არ دააგემოვნებს და არ გადაიაზრებს სიცოცხლის მომნიჭებელ კონცეპტებს, იქამდე ახალი ეპოქა არ დადგება

მეთოდები: სტატიაში გამოყენებულია ჰერმენევტიკული, დაკვირვების, აღწერის, კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის მეთოდები.

მსჯელობა და შედეგი: გერონტი ქიქოძე, რომელმაც ლაიფციგის ფილოსოფიის ფაკულტეტი დაამთავრა, სიცოცხლის ბოლო წელს იმ ფილოსოფოსად გვევლინება, საქმე ცხოვრების წესად რომ გადუქცევია. ფილოსოფოსად, რომელიც მთელი სისავსით ცხოვრობს საკუთარ თავს და რომელიც ყველაზე მთავარ ადამიანურ კითხვას უშფოთველად პასუხობს, თუ რა არის სიკვდილი, მაგრამ ვიდრე ამ საკითხს შევეხებოდეთ, პირველ ქვესათაურად ,,ხელები" გვხვდება. საიდან იწყება ფილოსოფოსის სულის მოძრაობანი სიცოცხლის უკანასკნელ წელს. ტექსტში გახსენებაა წამყვანი ქმედება. გახსენება, რომელიც ყველაზე ზუსტია, როცა იგი თავადვე მოგაკითხავს გამხსენებელს და მას ისღა დარჩენია უშეცდომოდ ამოიკითხოს მიზეზი გახსენებისა, რომელიც ახალი ამბის დასაწყისად აუწყებას თავს. გერონტი ქიქოძის გახსენება თოვს ემთხვევა. თოვს გუშინდელს და გუშინწინდელსაც, სადაც დარაბები ჩამოშვებულიყო და ქარბუქი ისმოდა. ავტორი აღწერს გაშეშებულ სახეს, ხელებს, რომლებიც დახრილიყვნენ, მოწყვეტილიტყვნენ, მაგრამ მხოლოდ მათ შერჩენოდათ შემოქმედების სურვილი. სურვილი იმ მელოდიის გაჟღერებისა, რომელსაც ვერც ბახი, ვერც ბეთჰოვენი და ვერც შუმანი შექმნიდა. ,,ჩემს მხრებს ხელები ეხებოდნენ, მოდუნებული, ტანჯული, მოსიყვარულე ხელები. ფერმიხდილი, გამჭვირვალე კანი გავარჩიე და სიმებივით ჩამოქნილი მოლურჯო ძარღვები. მათ დასაჭერად გავიწიე, ისინი ტანისამოსის ნაოჭებში დაიმალნენ" (ქიქოძე, 1986: 481) ავტორი შემდეგ საკუთარ ორეულს ხედავს, თუმცა იქამდე ეკითხება გრძნეულ არსებებს, გაუგონიათ თუ არა ოხვრა ტანჯვის და სიტკბოებისა. მკითხველს კი რჩება განცდა, რომ ავტორი საკუთარ თავს ხედავს ღონემიხდილს, ჩამქრალს, ხელებდაშვებულს, თუმცა კვლავ შემოქმედების სურვილით სავსეს, იმ სურვილით სავსეს, რომელიც თითქოს ამ სამყაროსთან დამშვიდობებისას თან გაჰყვება,

რადგან მხოლოდ შემოქმედების სურვილი არ ამოწურულა, არ ჩამქრალა, არ დალეულა. და აქ ყველაზე ფილოსოფიური, შესაძლოა რელიგიური აზრიც გვიცხადდებოდეს, რომ სხეულის მინავლებასთან ერთად თუკი კვლავ ძველი ენერგიით მძლავრობს შემოქმედების სურვილი და ფიზიკურ სიბერეს არ ებმის, არამედ მის საწინააღმდეგოდ, მეტად ცხოველმყოფობს, სწორედ ამ უკვდავი ნათების უნარით ღმერთს მიმსგავსებული ადამიანი უსათუოდ გააგრძელებს მუნ ყოფნას, მარადისობაში დამკვიდრებას. სწორედ ამ უნებლიე აღმოჩენით იაზრებს გერონტი ქიქოძე საკუთარ მერმისს, უაქაუროს.

შემთხვევითი არც ის გვგონია, რომ ხელების თემას მზის თემა ებმის ისევ გახსენებით, რომელიც უფრო ზუსტია, ვიდრე აქ ყოფნა. ავტორი პატარა მეგობართან დიალოგს იხსენებს ახალ საცხოვრისზე საკუთარ აზრს გამოთქვამს, რომ ცხელ ზაფხულში მზის სხივები თავს მოგვაბეზრებენო, რაზეც პატარა დუფიქრებლად უპასუხებს, თუ როგორ მოუთმენლად ელის მზეს. ამ ლამაზი და რომანტიკული დიალოგის წაწყდომისას მკითხველი ხვდება, რომ გმირი ანდერსენის ორეულია ცჩრდილოეთის ქალაქის ნახევარსარდაფის მკვიდრი, რომელიც ხელაწეული ეგებებოდა და მიაცილებდა მზის სხივებს, რომ მოეხელთებინა ისინი და საკუთარ ზღაპრებში ამბებად ჩაენათებინა. ტექსტის ამ მონაკვეთის დასრულებისას, ავტორის ყველაზე სევდიანი და მოულოდნელი ჩანართი გვიხმობს, რომელიც სწორედ ჩვენ, 21-ე საუკუნის პირველი მეოთხედის მიწურულს მყოფთაგან ცოცხალი ფიქრის ნაკადის შექმნას მოითხოვს. ეს ფრაზა ასე იკითხება: ,,მე გამომყევ. სამხრეთის შვილი ვარ, ჩვენში ცხრათვალა მნათობი უხვად გაგვინათებს. მაგრამ ჩემო კარგო, ჩემი სამსობლოს მზე არავის ეალერსება, ის მეტისმეტად მწვავეა.“ (ქიქოძე, 1986: 483) ჩვენ არ შევუდგებით იმ მიზეზთა კვლევას, თუ რატომ შეიძლებოდა სიცოცხლის უკანასკნელ წელს მყოფ ფილოსოფოსს და პუბლიცისტს, ასეთი ცრემლინი თვალით შეეხედა საკუთარი ქვეყნის მზისთვის, ეს მიზეზები მეტნაკლებად გასაგებია, მაგრამ მთავარ, უფრო ცოცხალ და ნამდვილ შეკითხვად ჩვენთვის სხვა მნიშვნელობს: დღესაც ასეა თუ არა, დღესაც მეტისმეტად მწვავეა თუ არა ჩვენი სამშობლოს მზე. რა შეიცვალა ამ ექვსი ათეული წლის განმავლობაში მზის სხივთა ბუნებაში? თუ გერონტი ქიქოძის აზრთა მდინარების მიხედვით განვსჯით, პასუხი მეტად სევდიანი იქნება, რადგან მზე მხოლოდ მაშინ ათბობს და არ წვავს, თუ სწორად ფიქრის ტრადიცია არ მორღვეულა და აზრთა მყარ, ლოგიკურ სტრუქტურებს ცოცხალი სინდისის თანმყობობაც ახლავს, ამშვენებს.

გერონტი ქიქოძე, როგორც ყველა ნამდვილი მოაზროვნე, უშინაგანესს, საკუთარსა და საზოგადოს, შეიძლება ითქვას, სულიერსა და პოლიტიკურს არ მიჯნავს და ამ მონაკვეთშიც ეს დამოკიდებულება უცხადესია. არსთა მხედი ჯერ ანტიკურ და შემდეგ ქრისტიანულ ტრადიციაში ჯერ საკუთარ თავს იდგენს, ამუშავებს, ავარჯიშებს, ძერწავს და შემდეგ უზიარებს საკუთარ გამოცდილებას სხვას, რომელიც თავადვეცაა, ვინაიდან მასაც და სხვასაც ერთი მზე აბარია, რომლის დანიშნულებაა გაათბოს, აცოცხლოს, გაანათოს, მაგრამ ადამიანურ ბუნებას რახან ჰგონია, რომ შეუძლია მზესაც შეუცვალოს ხედვის კუთხე, რა თქმა უნდა იგი დიდ სიმულაციაში აღმოჩნდება, რადგან მან არ იცის მზესთან ურთიერთობის მართებული გზები, თუმცა ჰგონია, რომ მზეს იქვემდებარებს. სწორედ ასეთად მყოფს უსხლტება ხელიდან საკუთარი თავიც, მზის სხივებიც და დროც, რომელიც სწორედ იმიტომ მიეცა, რომ ამ დროში შექმნას რაიმე ნამდვილი.

გერონტი ქიქოძეს უკანასკნელი ჩანაწერები, მაინც პოეტურად პოლიტიკურია, ისევე როგორც იმ ფილოსოფოსთა, პოეტთა თუ ტრაგიკოსთა ნააზრევი, სულსა და სახელმწიფოზე გაუმიჯნავად რომ საუბრობდნენ. და ,,არაბესკებში“ არ ირღვევა ის სტრუქრტურა, რაც ტრადიციაში მზეზე ფიქრს უნდა მოსდევდეს. შემდეგი ტექსტის სათაურია ,,სიკვდილი“,

გერონტი ქიქოძე, სიცოცხლის ბოლოს, როგორც მჭვრეტელი, გრძნობს მალე სიცოცხლესთან გაყრის გარდუვალობას და ფიქრობს სიკვდილზე. მისი ფიქრი იმდენად ზუსტი და სააზროვნო ტრადიციის ურღვეველობის დასტურია, რომ ჩვენთვისაც

სურათხატებად ცოცხლდება ახანდელებისთვის, რათა დაგვეხმაროს უმთავრესი რეალობის აღქმა-გააზრებაში. ეს ქვეთავიც გახსენებით იწყება. თუ ავტორი როგორ ძრწოდა ბავშვობაში უნიჭო მხატვართა მიერ გამოსახული ცელიანი კაცის წინაშე. დიახ, აქაც გავიმეორებთ, გახსენება ყოველთვის ახლის დასაწყისია და გასააზრებელია, თუ რატომ ახსენებს თავს რაღაც თავისთავად. ეს თავისთავადობაა შეხება არსისმიერთან, გონისმიერთან, რომელიც აზროვნებისკენ გადართავს ადამიანს. და რახან აზროვნების აქტიც შეიძლება იყოს უფაქიზესი, დაცლილი ყოველგვარი უხეშობისგან, სწორედ გერონტი ქიქოძის რამდენიმე აბზაციანი განაზრება სიკვდილის შესახებ, იმ უკიდურესი სინაზის შემცველია, სადაც სიკვდილის არა მარტო დაძლევა, შეყვარებაც ხდება. ავტორისთვის ის ნაზი, კეთილი მეგობარი, ბედნიერების მომტანია. ,,ის ძილის რულზე უფრო მსუბუქია, ის უფრო მსუბუქია, ის უფრო ნაზია, ვიდრე სიყვარულის ალერსი უცოდველი დედაკაცისა. ამაზე ნაზი, აბა მითხარი რაღა იქნება?“ (ქიქოძე, 1986: 483) და თუკი ვიკითხავთ, როდის ხდება სიკვდილთან დამეგობრება? გერონტი ქიქოძე არც ამ შემთხვევაშია ამოვარდნილი იმ მძლავრი წინარე ისტორიისგან, რომელიც შეიგრძნობა კიდეც. ფილოსოფოსი აზროვნებს და გრძნობს იმას, რაც განსჯის შედეგად დადო, როგორც უტყუარი ნიშანი ადამიანად, ცოცხლადმყოფობისა. და ტექსტი, რომლის წაკითხვისას ყველაზე ნამდვილი იმპულსებით ურთიერთობს ავტორი მკითხველთან, სწრედ იმის დასტურია, რომ მისი ფიქრი იყო ზედროული და მარადისობის შეხებითა და განცდით ნასაზრდოები. სხვაგვარად იგი ჩვენთვის არ იცოცხლებდა, როგორც ნამდვილი ცხოვრების ანასხლეტი ან შეხსენება, რომ აქ და ახლა მთავარი ამბები კვლავ ძველებურად ახალია.

,,არაბესკების“ სამი თემა: ,,ხელები“, ,,მზე“ და ,,სიკვდილი“ როგორც გაირკვა, ერთ სააზროვნო ქარგას ქსოვს და განსჯის ლოგიკურ ტრადიციას მისდევს. სწორედ ამ გზაზე ბუნებრივად ჩნდება კიდევ ერთი ტექსტი სათაურით ,,დიალოგი თავის თავთან“, რომელიც ასევე 1960 წელსაა დაწერილი, ანუ გერონტი ქიქოძის სიცოცხლის ბოლო წელს. მას შედეგ, რაც ,,არაბესკებში“ დაალაგა სიმშვიდისმფენი ეპიზოდები, ახლა ფიქრი იქითკენ მიემართება, თუ რატომაა ასეთი რთული ადამიანისთვის სამყაროს ჰარმონიულობის აღქმა და საკუთარ ცხოვრების წესად დადგინება. ამ გზაზე მას კანტის ცნობილი სიტყვები ახსენდება ვარსკვლავებით მოჭედილი ცისა და მორალური კანონის მიმართებაზე და აქ ერთ ეპოქალურ თეზისს გამოთქვამს, რომელიც ჩვენთვის სოკრატულ-პლატონური ტრადიციის გამოძახილია. ეს თეზისი შემდეგია: ,,ფიზიკური სამყარო იმდენად ჰარმონიულია, რომ ადამიანი მიდის უნივერსალური გონების აღიარებამდე“ (ქიქოძე, 1986: 484) აქ პლატონის ,,სახელმწიფოში“ გაწერილი სამყაროს შემეცნების სტრუქტურა გვახსენდება, სადაც ნათქვამია, რომ მეცნიერებათა დასწავლა მათი არსის წვდომით უნდა ხდებოდეს, იმ არსის წვდომით, რომელიც მეცნიერული ენით აღწერს სამყაროს. სწორედ ამგვარი შემეცნების პროცესი დააყენებს ადამიანს სამყაროს შემოქმედის პირისპირ, ანუ როგორც ნათქვამია, განხორციელდება სულის აღმასვლა გონით საწვდომი სამყაროს მიმართ. გერონტი ქიქოძე იხსენებს ფრანგ და გერმანელ ასტრონომებს ლავერიესა და გალეს, რომელთაც მზის სისტემაში უცნობი პლანეტის, ნეპტუნის არსებობა გამოიანგარიშეს, განჭვრიტეს და აღმოაჩინეს. გერონტი ქიქოძის შეკითხვა ასეთია: ,,რატომ ასეთივე გონება არ უძევს საფუძვლად მორალურ სამყაროს და რატომაა ის ასეთი დისჰარმონიული?“ (ქიქოძე, 1986: 484)

აქ ჩვენ წარმოვიდგენთ საკუთარი ცხოვრების რეტროსპექტულად გადამხედავ ავტორს, რომელიც დიალოგშია საკუთარ თავთან და როგორც ყველა ნამდვილ შემოქმედს, საკუთარი ღვაწლი არაფრად მიაჩნია. იგი საკუთარ ნამოქმედარს კაცობრიობის ცხოვრებისთვის ისე აღიქვამს, როგორც კენჭს ოკეანისთვის და ტექსტის დასასრულს ჩვენთვის კიდევ უფრო ძველ, ჰერაკლიტესეულ ფილოსოფიურ ფრაგმენტებთან გვაბრუნებს ავტორი, სადაც კენჭებით მოთამაშე ბავშვი მარადისობაა და ბნელი ღამე ნათელი დღის პირობა. სადაც ყველაფერი ურთირთმონაცვლეობს და

ურთიერთგანპირობებულობაშია. მხოლოდ ერთი რამ რჩება უცვლელი: ყველა ნამდვილი ფიქრი და განჯა მყოფობს და ცხოვრობს მარადისობაში, როგორც წარსულის, ისე მომავლისთვის და ამ აზრით, გერონტი ქიქოძის საკუთარ თავთან მიბრუნების აუცილებლობა ამ მარადისობის ამონაშუქია ჩვენთვის, 21-ე საუკუნის ადამიანებისთვის, რომლის მეხსიერებაც ამ კუთხით, თითქოს ატროფირდა და ძირითადად ზედაპირული, უსიცოცხლო, მკრთალი ასლების ანაბარა დარჩა და გააამპარტავანდა ისე, როგორც არასდროს. ავტორი ამ უსიამოვნო რეალობის დანახვაშიც გვეხმარება.

გერონტი ქიქოძის ბოლო ჩანაწერებიდან ჩვეთვის მნიშვნელოვანია ასევე 1960 წელს დაწერილი ოთხგვერდიანი ტექსტი ,,სიზმრის სილუეტები". ცხოვრების ბოლო წელს სიკვდილ-სიცოცხლეზე მოფიქრალი ავტორი ერთი შეხდვით მოულოდნელი, მაგრამ სრულიად ლოგიკური თემით გვიცხადდება. იგი გვიამბობს ქალზე, რომელიც მისთვის არა მხოლოდ გრძნობისმიერ ფაქტად, არამედ იმ ფილოსოფიური საკითხის გასააზრებლადაც წარსდგა, ცხოვრების სიზმრად წარმოდგენა რომ ჰქვია. ტექსტის დასასრულს ასეთი აზრი იკითხება: ,,თუ ცხოვრება მართლაც სიზმარია, ერთხელ ხომ გამოღვიღვიძებთ და დავინახავთ, რანი ვიყავით დაძინებამდე და რა მოგველის მომავალში. ჩვენ შეგვიძლია მოკლევადიან ძილს შევუერთდეთ, თუნდ ის კოშმარი იყოს, ხოლო ბედნიერი სიზმრები უფრო ამაღელვებელი ცხოვრების წინათგრძნობად მივიღოთ"(ქიქოძე, 1986: 496)

მაგრამ აქამდე ავტორი გვიყვება ერთი იდუმალი ქალის შესახებ, რომელსაც იშვიათი ტაქტით აღწერს. კონკრეტულს არაფერს ამბობს მის შესახებ, მაგრამ სრულადაა შესაძლებელი მისი ცხოვრების სურათთა ხედვა. როგორც ჩანს ავტორი მის მიმართ გულგრილი არ ყოფილა, რადგან სიცოცხლის ბოლო ზღვარზე მდგომს სიკვდილ-სიცოცხლესთან ერთად იმ ქალზე ეფიქრება, რომელთანაც რამდენიმე შეხვედრას აღწერს, სახელს არ ამხელს, თუმცა დიდი სინაზით იგონებს მის ხმას, რომელსაც ქალის მთავარ ხიბლად თვლიდა, მწვანე თვალებსა და შავ თმებს. იხსენებს მის საყვარელ რომანს კონსტანტის ,,ადოლფს" და მის მრავალრიცხოვან თაყვანისმცემლებს, მათ ურთიერთობებს. იმდენად გრძნობისმიერია მისი გახსენება, რომ კერამიკოსადაც წარმოუდგენია თავი, შედევრის შემქმნელად, მოდელად კი უსახელო ქალს ხედავს. ეს ლამაზი გახსენება, რომელიც ავტორს კვლავ ახალი აზრისა და დასკვნის საბაბად გადუქცევია ჩვენთვის, ეს სიყვრულის დარი გახსენება, ბუნებრივად ჩანს აქამდე განხილულ თემათა ჭრილში, რადგან არც უკვდავება, არც მარადისობა, არც სული და არც გონება არ მყოფობს უსიყვარულოდ. სიკვდილთან დაზავებას და შერიგებასაც სიყვარული ამარტივებს. მისი ხვთაებრივი ბუნება, მისი სიმსუბუქე და აუტანლობა. ავტორი ამბობს, რომ ქალი, რომელიც ბოლოჟამს თავს ახსენებს, გარდაცვლილია. ამიტომ იქ, სადაც ასეთი სუნთქვისა და განცდის ნიშანი მყოფობს, თავადაც ეიოლება, შესაძლოა ეჩქარება ან მიუხარია კიდეც მასთან მიახლოება. სიყვარული აქრობს თუ არა სიკვდილის შიშს? ამ კითხვის პასუხი ქართულ უმაღლეს სააზროვნო ტექსტშიც, რუსთაველთანაც უცხადესია. მხოლოდ მიჯნურებს შეუძლიათ წუთისოფელზე შორს გაიხედონ და აქედანვე მარადისობის ენით იმეტყველონ. მხოლოდ მიჯნურმა იცის, რომ აქ არაფერი მთავრდება და მხოლოდ მიჯნურნი არიან მარადისობასთან მოთამაშენი, როგორც ამ ტრადიციის ერთგულნი, მე-20 საუკუნის ნამდვილი, რაინდი გერონტი ქიქოძე, რომელიც სიზმრიდან გამოღვიძებული, სიზმრად იმ იდუმალი ქალის მნახველი ასე აღწერს საკუთარ მდგომარეობას. ,,როდესაც გამომეღვიძა დავინახე, რომ აპრილის მზით განათებულ ოთახში ვიწექი, ჩემს ფანჯარაში თეთრად აყვავებული ალუბლის ხის ტოტები იცქირებოდნენ, ხოლო ეზოში ფრინველების მხიარული ჭიკჭიკი გაისმოდა. ყოველივე ამში ჩემი გარდაცვლილი მეგობრის გულისფეთქვა ვიგრძენი. ინდივიდუალური უკვდავება არც მას სწამდა და არც მე მწამდა" (ქიქოძე, 1986: 496)

სიყვარულის და სიკვდილის შიშის დამარცხება რომ ერთად თანაცხოვრობს, ამის მაგალითად გერონტი ქიქოძეს ასევე სიცოცხლის ბოლოს 1960 წელს დაწერილ ჩანაწერში

სათაურით ,,სიკვდილის შიში“ არჩილ მეფის უმცროსი, უმშვენიერესი შუშანის თავგადასავალ-თავგანწირვას იხსენებს, თუ როგორ არჩია ხაზართა მეფის დანებებას

სიკვდილი და როგორ დალია საწამლავი, რომელსაც ბეჭედში მალავდა. ამავე ტექსტში ავტორი იხსენებს ფილოსოფოსებს. სოკრატეს აპოლოოგიიდან მიმართვას ათენელების მიმართ. იხსენებს ასევე ლუკრეციუსს და კოზიმო მედიჩის, თუ როგორ განუტევა სული პლატონის დიალოგების მოსმენისას. იხსენებს პასკალს, რომელიც დაუსრულებელი სივრცეების მუდმივ დუმილზე ლაპარაკობს, სომერსეტ მოემს, რომელსაც ათრობდა სიკვდილის მოახლოების გრძნობა და საბოლოოდ ერთ საგულისხმო, არახალ, მაგრამ თეზის-გახსენებას აყალიბებს, რომ: ,,საერთოდ სიკვდილი უფრო ადვილია ადამიანისთვის, რომელსაც უკვდავება სწამს, თუნდაც ეს მხოლოდ იმ იდეის უკვდავება იყოს, რომელსაც ის თავს სწირავს“ (ქიქოძე, 1986: 490)

ექვსი ათეული წლის წინ შექმნილი ჩანაწერები, რომელიც გერონტი ქიქოძეს სიკვდილისა და სიცოცხლის მიჯნაზე, ცხოვრების ბოლო წელს შეუქმნია, ჩვენთვის კვლავ ცხადყოფს იმ დიდი ტრადიციის ერთგულების აუცილებლობას, რაც ქართული კულტურის მნიშვნელოვნებასა და განუმეორებლობას გვახსენებს. გვახსენებს, როგორც რუსთაველი, როგორც გურამიშვილი და გალაკტიონი. ეს უკანასკნელი ხომ მთელ ჩვენ მიერ განხილულ პუბლიცისტურ ნარატივს ერთ სტრიქონში ათავსებს: ,,სიკვდილის გზა არ რა არის ვარდისფერ გზის გარდა“ (ტაბიძე, 1982: 62)

დასკვნა. გერონტი ქიქოძე სიცოცხლის უკანასკნელი წლების პუბლიცისტურ ჩანაწერებში საკუთარი თავის და სამყაროს შემმეცნებელ ფილოსოფოსად გვევლინება.

სიკვდილზე ფიქრი მისთვის, როგორც მოაზროვნისთვის ბუნებრივი მდგომარეობაა. იგი აზროვნების გზით ახერხებს სიკვდილის, როგორც მშვენიერების გააზრებას და მასთან დამეგობრებას.

ცხოვრების უკანასკნელ მონაკვეთში ავტორი სიკვდილის ფენომენთან ერთად სიყვარულსაც იხსენებს და ეს გახსენების აქტი მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რათა ახალი, სიცოცხლისშემდგომი ჰორიზონტები დალაშქროს.

მკითხველისთვის უმნიშვნელოვანესია ამ სააზროვნო მოდუსში ჩართულობა, რადგან თავადაც ხდება იმ მარადისობის უშუალოდ განმცდელი, რაც თანამედროვე ადამიანისათვის მივიწყებული და ხელახლა შესახსენებელია.

გამოყენებული ლიტერატურა

პლატონი. (2019). *სახელმწიფო.* შესავალი თანამედროვე აზროვნებაში. წ. 1. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ტაბიძე, გ. (1982). *რჩეული.* თბილისი: საბჭოთა საქართველო.

ქიქოძე, გ. (1986). *წერილები, ესეები, ნარკვევები.* თბილისი: მერანი.

ქიქოძე, გ. (2003). *თანამედროვის ჩანაწერები.* თბილისი: არეტე.

REFERENCES

p'lat'oni. (2019). *sakhelmts'ipo [State].* shesavali tanamedrove azrovnebashi [Introduqtion to modern thought]. Book 1. Tbilisi: Ilia State University.

t'abidze, g. (1982). *rcheuli [Chosen one].* Tbilisi: Sabchota sakartvelo.

kikodze, g. (1986). *ts'erilebi, eseebi, nark'vevebi [Letters, essays].* Tbilisi: Merani.

kikodze, g. (2003). *tanamedrovis chanats'erebi [Contemporary Records].* Tbilisi: Arete.